შეცდომის ფასი...

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 20 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "შახტიორი" (დონეცკი) 1:1 (0:1).

"დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე (ანდღულაძე), დარასელია, კაკილაშვილი (სვანაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"შახტიორი": ჩანოვი, ვარნავსკი, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, რუდაკოვი, როგოვსკი (ბონდარენკო), სოპკო, აკიმენკო, ფედორენკო, გრაჩოვი (გოშკოდერია).

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გაფრთხილებულია თ. სულაქველიძე.

მატჩს დაესწრო 43.000 მაყურებელი.

...მატჩის მე-2 წუთზე მინდვრის შუაგულში, ცენტრალური წრის მახლობლად გათამაშდა სრულიად უმნიშვნელო, ორივე გუნდისთვის უხიფათო ეპიზოდი: ერთ-ერთმა დონეცკელმა ფეხბურთელმა ბურთი გადააწოდა აკიმენკოს, მან მიიღო გადაცემა და უცებ გამოირკვა, რომ დინამოელთა მცველებს, კერძოდ, სტოპერებს სრულიად უმეთვალყურეოდ დაუტოვებიათ იგი. აკიმენკომ წამსვე ისარგებლა შექმნილი სიტუაციით, სანამ მცველები გამოერკვეოდნენ, გაიჭრა წინ და გაბელიასთან პირისპირ დარჩენილმა მშვიდად გაგზავნა ბურთი დაბალ კუთხეში - 1:0.

მდგომარეობა, ვიმეორებთ, უხიფათო იყო, მაგრამ ეს ელემენტარული შეცდომა დინამოელებს ძალზე ძვირად დაუჯდათ: ვაგებდით 62-ე წუთამდე, როცა ჩვენდა იღბლად "შახტიორის" ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და შენგელიამ ზუსტად გამოიყენა პენალტი - 1:1. დონეცკელმა ფეხბურთელებმა მოულოდნელი ფორა მაქსიმალურად გამოიყენეს, თავგამოდებით იბრძოლეს და აიღეს ქულა, რომელიც მათთვის, შეიძლება, საჩუქარს წარმოადგენდა.

დინამოელებს ცდა არ დაუკლიათ მდგომარეობის გამოსასწორებლად, შეტევაში თავდამსხმელთა გარდა მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც, სტუმრების საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მძიმე სამუშაო ჰქონდა მეკარე ჩანოვს, მაგრამ საპასუხო გოლის პერსპექტივა არ ჩანდა. შეიძლება ითქვას, რომ "შახტიორი" უფრო უკეთ იცავდა თავს, ვიდრე "დინამო" უტევდა. მასპინძელთა ფორვარდები ხშირად ჯგუფდებოდნენ, არაზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს, ხშირ შემთხვევაში ტრაფარეტულად მოქმედებდნენ, ვერ პოულობდნენ სუსტ ადგილებს მეტოქის დაცვაში. ჩვენი გუნდის ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა არსებითად უნაყოფო იყო, ვინაიდან დონეცკელთა დაცვის წინააღმდეგობის დაძლევა ძნელი საქმე აღმოჩნდა. ინდივიდუალური თამაში აშკარად სჭარბობდა კოლექტიურს.

დასანანია სულაქველიძის მიერ მიღებული გაფრთხილებაც. მან უხეშად ითამაშა შუა მინდორში და ყვითელი ბარათი დაიმსახურა სრულიად მარტივ ვითარებაში.

რ. ქორიძე.

"ლელო", 23 ივნისი 1981 წ.